საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N01

ქ. ბათუმი **17 მაისი, 2018წ.**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 11 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 11 დეკემბრის N02 გადაწყვეტილების დანართში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) პირველი, მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში ,,ცენტრი“) წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ცენტრის მიზნებს, ამოცანებს, საქმიანობის მიმართულებებსა და ფუნქციონირების წესს.

მუხლი 2 ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. **ცენტრის მიზანია** ბსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებს, ასევე ფართო საზოგადოებას საშუალება მისცეს უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების საფუძვლის შექმნისათვის, პროფესიული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და პროფესიული უნარების შეძენისათვის.

2. ცენტრის ამოცანებია:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების ხელშეწყობა;

ბ) საზოგადოებისათვის უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზებით ბსუ-ს როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება;

გ) ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. ცენტრის საქმიანობის მიმართულებები

1. ცენტრი ახორციელებს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს შემდეგ მიმართულებებში:

ა) მოსამზადებელი (აბიტურიენტთა და მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის) პროგრამები (სხავადასხვა საგნების - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ზოგადი უნარები, უცხო ენები და სხვა სწავლება);

ბ)სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების პერსონალის პროფესიული განვითარება;

გ) საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა პროფესიული განვითარება;

დ) ფსიქოლოგიის სწავლება/ფსიქოლოგიური მომსახურება;

ე) უცხოური ენების სწავლება.

2. ცენტრმა, გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოკლევადიანი პროგრამებისა შესაძლებელია განახორციელოს:

ა) ბსუ-ს და სხვა დაწესებულებების (პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელმწიფო და კერძო) პერსონალის გადამზადების, პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტრენინგები/კურსები/სეზონური სკოლები;

ბ) სასწავლო-მეთოდოლოგიური, საკონსულტაციო, საქველმოქმედო ტრენინგები საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, მაღალმთიანი რეგიონების მსმენელთათვის, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის და სხვა;

გ) ცალკეული ტრენინგ-პროგრამის განსახორციელებლად საჭირო, სწავლების სტანდარტის შესაბამისი სახელმძღვანელოების, ტესტთა კრებულების, მეთოდოლოგიური და სხვა სახის მასალების მომზადება/გამოცემა;

დ) უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ შესაბამისი საინფორმაციო კამპანია (ცენტრის ორგანიზებით შესაძლებელია გამოიცეს ბუკლეტები, მომზადდეს სარეკლამო რგოლები, განხორციელდეს კონსულტაციები და სხვა საქმიანობა);

ე) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული საჭიროების გათვალისწინებით შესაბამისი კურსების/ტრენინგების/სკოლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე განხორცილების ორგანიზება.

3. ცენტრის შესაბამისი მიმართულებით მომზადებული მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა/ტრენინგ-კურსი განიხილება ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე და დადებითი დასკვნის საფუძველზე, მიმართულების კოორდინატორის წარდგინებით მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

4. ბსუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების შემთხვევაში პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით მოკლევადიანი პროგრამა/ტრენინგ-კურსი/საზაფხულო სკოლა ბსუ-ში შეიძლება განხორციელდეს ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის უფროსის დასაბუთებული (პერსონალის საჭიროებებზე და პროგრამის/კურსის ეფექტურობაზე და ფინანსურად ხელმისაწვდომობაზე მითითებით) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით გამოცემული შესაბამისი პერსონალის მოწვევის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
5. ბსუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების შემთხვევაში პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით მოკლევადიანი პროგრამა/ტრენინგ-კურსი დასაქმებულმა შეიძლება გაიაროს:

ა) **აკადემიური თანამდებობის პირმა** - ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ);

ბ) **სამეცნიერო თანამდებობის პირმა** -ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ);

გ) **ადმინისტრაციული თანამდებობის პირმა** - ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა პირადი ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ);

დ) **დამხმარე თანამდებობის პირმა** - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა პირადი განცხადების ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (სასწავლო/სამეცნიერო პროცესის მართვის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დასაქმებულის შემთხვევაში, ინიციატივა/სამსახურებრივი ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და შესაბამისი მიმართულებით რექტორის მოადგილის მიერ);

ე) **შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულმა პირმა** - ბსუ-ს რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელიც შესაძლებელია გამოიცეს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს წინამდებარე პუნქტში დადგენილი წესით, კომპეტენციის გათვალისწინებით).

2.. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ.ბარათაშვილი**